თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №7

თბილისი, 22 სექტემბერი, 2021 წ.

სხდომა დაიწყო 15:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ნათია მერებაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ვაშალომიძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე;
- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის ხელმძღვანელი ხათუნა სვანიძე.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ხატია წილოსანი;
- „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები “ – ნინო ჩარკვიანი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – ლერი ხუფენია;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თეკლე ზედელაშვილი; მარსელ ნაგი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – გიორგი გულიაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – პაატა ყვავაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:10 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა.
2. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის, ბატონი ზურაბ სანიკიძის, პრეზენტაცია საარჩევნო სიების სრულყოფის თაობაზე.
3. პოლიტიკური პარტიის „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე.
4. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 13-20 სექტემბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციებზე რეაგირების შესახებ.
5. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ ბატონმა თორნიკემ სიტყვა გადასცა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ (შემდგომ – „სააგენტო“) თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ სანიკიძეს, კომისიისთვის საარჩევნო სიების სრულყოფის თაობაზე პრეზენტაციის მიზნით.

ბატონმა ზურაბმა პრეზენტაციაზე ყურადღება გაამახვილა საარჩევნო სიისა და, ზოგადად, სამოქალაქო რეესტრის ბაზების ფორმირების მიზნით ბოლო წლებში განხორციელებულ

სამუშაოებზე, ისაუბრა 15 სექტემბერს ცესკო-თვის მიწოდებული საარჩევნო სიის კონკრეტულ მონაცემებზე.

როგორც პრეზენტატორმა აღნიშნა, საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის მთავარი მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს პრინციპი „ერთი ამომრჩეველი – ერთი ხმა". პროექტის მსვლელობის პროცესში გამოყოფილ იქნა უწყების მიერ გაწეული სამუშაოების სამი ძირითადი მიზანი: გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებთან მიმართებით ხარვეზების და მონაცემების გასწორება; 2) გარდაცვლილ პირთა პროაქტიულად ამოღება საარჩევნო სიიდან; 3) სააგენტოს მონაცემთა ბაზების ხარისხის ამაღლება.

ბატონი ზურაბის განცხადებით, სააგენტომ ზემოდასახელებულ საკითხთა გადაჭრის კუთხით საკმაოდ წარმატებული ღონისძიებები განახორციელა. სწორედ ამაზე მეტყველებს „OSCE/ODIHR"-ის, ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლო წლების დასკვნები. გამოიყო 3 ძირითადი შედეგი: 1) მონაცემთა (სამოქალაქო რეესტრის) ბაზების სრულყოფა; 2) პოტენციურ ამომრჩეველთა სიის სრულყოფა; 3) სანდოობის გაზრდა ამომრჩეველთა სიისადმი.

სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, მთავარი ფოკუსჯგუფი (მოქალაქეები, რომელთაც აქვთ სამოქალაქო რეესტრში დოკუმენტის მონაცემებთან დაკავშირებული ხარვეზები) დაყოფილია 5 კატეგორიად: 1) მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ხმის მიცემა – პირადობის მოწმობა ან პასპორტი; 2) მოქალაქეები, რომელთა მისამართების რეგისტრაცია არ არის აქტიური; 3) მისამართის გარეშე რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა რეალური მისამართი არ არის ჩაწერილი/ან არასწორად არის დაფიქსირებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში; 4) მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ ფოტო/ან ცუდი ხარისხის ჩანაწერი აქვთ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში; 5) არასრულ/არარსებულ მისამართზე რეგისტრირებული მოქალაქეები. სწორედ ამ მიმართულებათა გამოსწორებაზე სააგენტო 2013 წლიდან (საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის დაარსებიდან) აქტიურად მუშაობს.

როგორც ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, ამ ეტაპზე არსებული ბიომეტრიული მონაცემები, რაც ვიზალიბერალიზაციის ფარგლებშიც იქნა აღიარებული წარმატებულ მოდელად, არის გაყალბებისგან აბსოლუტურად დაცული. მისი თქმით, სააგენტოს 2014 წლიდან აქვს შესაბამისი გერმანული ფოტოსაძიებო სისტემა და ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობილი დოკუმენტები. ამასთან, მონაცემთა ბაზებში პერიოდულად ხდება ხარვეზების გამოვლენა (მაგალითად, ფოტოსთან მიმართებით). აღსანიშნავია, რომ სრულწლოვან მოქალაქეთა ფოტოსურათების დადარების შედეგად გამოვლინდა და გაუქმდა 7 706 გაორებული მონაცემი; 2 186 შემთხვევაში დადგინდა და გასწორდა პირის მონაცემებზე არასწორად მიბმული ფოტოსურათი; გატარებული სამუშაოების შედეგად გასწორდა მონაცემთა ბაზაში გამოვლენილი 3 581 უზუსტობა (როდესაც მონაცემთა ბაზაში მოქალაქის მონაცემებზე არ იყო სურათი მიბმული ან/და უხარისხო ფოტოს გამო ვერ ხერხდებოდა პირის იდენტიფიკაცია). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ გარდაცვალების დასარეგისტრირებლად აუცილებელია, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" შევიდეს შეტყობინება

გარდაცვლილის ოჯახის წევრისგან, მუნიციპალიტეტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ან სამედიცინო დაწესებულებიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის ფარგლებში, სააგენტო არ ელოდება შეტყობინების შემოსვლას (ეს ძირითადი პრინციპია) და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე პროაქტიულად ახორციელებს კარდაკარ სამუშაოებს დაურეგისტრირებელი გარდაცვალების ფაქტების გამოვლენის მიზნით. ამ ყველაფრის შედეგად 2013 წლიდან დღემდე გამოვლინდა და მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა 11 681-ზე მეტი გარდაცვალების ფაქტი, გარდაცვლილ პირთა მონაცემები კი, ამოირიცხა საარჩევნო სიიდან.

ამასთან, პროექტის ფარგლებში გაანალიზდა და შესწორდა 1 492 პირის მონაცემი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სამოქალაქო აქტებს შორის არსებული შეუსაბამობების გამო; ერთი და იმავე მისამართის სხვადასხვა ფორმულირების ჩაწერის გამოსავლენად ჩატარებული სამუშაოების შედეგად გადამოწმდა 11 969 მისამართი და 1 443 გაორებული მისამართის აღმოჩენის გამო მონაცემების გასწორების მიზნით გადაიგზავნა შესაბამის სამისამართო სამსახურში; დამუშავდა საზღვარგარეთის მისამართზე რეგისტრირებული 17 427 მოქალაქის მონაცემი და მონაცემთა ბაზაში შესწორდა 8 042 მოქალაქის მისამართი ადგილსამყოფელი ქვეყნისა და ქალაქის დონეზე; 2015 და 2020 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები მისამართზე ორი მოწმის დასტურით რეგისტრაციის წესის და პროცედურების გაჯანსაღებისა და მისამართზე რეგისტრაციის ინსტიტუტის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ყოველ საარჩევნო წელს იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით ვერ ხვდებიან ერთიან საარჩევნო სიაში, მოქმედებს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. დოკუმენტის საფუძველზე, აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები თავისუფლდებიან პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტის მიღებისთვის საჭირო საფასურის გადახდისგან; ზემოაღნიშნულ (იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის მფლობელი და რეგისტრაციიდან მოხსნილი) პირთა პროაქტიულად ინფორმირების მიზნით ამოქმედდა სპეციალური სისტემა, რომლის დახმარებითაც დღემდე მობილურ ტელეფონებზე გაგზავნილია 298 400-მდე შეტყობინება/შეხსენება დოკუმენტის გაუქმების/შეჩერების მიზეზებსა და პირადობის დოკუმენტებთან დაკავშირებით მიმდინარე უფასო აქციების შესახებ; რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების ინფორმირების მიზნით შეიქმნა სპეციალური ქოლცენტრი, რომლის ოპერატორებმაც პროაქტიულად განახორციელეს 410 600-ზე მეტი სატელეფონო ზარი იმ მოქალაქეებთან, ვინც საკანონმდებლო რეგულაციის მიხედვით ვერ ხვდებოდა საარჩევნო სიაში, და გასცეს კონსულტაცია ხარვეზის გამოსწორების მიზნით. ასევე, ხაზგასასმელია, რომ ყოველი არჩევნების დღეს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" იხსნება ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია დოკუმენტებთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ, რის გამოც ისინი ვერ ხვდებიან ამომრჩეველთა სიაში, ან, უბრალოდ, ეცნობებათ მათი რეგისტრაციის მისამართისა და შესაბამისი საარჩევნო უბნის შესახებ.

ბატონმა ზურაბმა ყურადღება გაამახვილა სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოების შედეგებზეც 2021 წლის 15 სექტემბრამდე აქციით გაცემული პირადობის ელექტრონული მოწმობების კუთხით. მისი თქმით, საერთო ჯამში, წლების განმავლობაში, საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტის მეშვეობით 1 768 869 ID ბარათი იქნა გაცემული იუსტიციის მინისტრის, იუსტიციის სამინისტროსა და სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად. აქვე აღსანიშნავია, რომ სულ რაღაც ბოლო თვის

განმავლობაში იუსტიციის მინისტრის მიერ ინიცირებული უფასო აქციის ფარგლებში გაიცა 10 000-ზე მეტი ID ბარათი.

პრეზენტაციით მოწოდებული შედარებითი ანალიზის შესაბამისად, თუ 2012 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით ელექტრონული პირადობის მოწმობა ჰქონდა 568 646 პირს, არაელექტრონული უვადო პირადობის მოწმობა – 926 681 პირს, ხოლო არაელექტრონული ვადიანი პირადობის მოწმობა – 2 146 296 პირს, 2021 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით, ელექტრონული პირადობის მოწმობა აქვს 3 116 190 პირს, არაელექტრონული უვადო პირადობის მოწმობა – 276 276 პირს, არაელექტრონული ვადიანი პირადობის მოწმობა კი – 88 936 პირს. რაც შეეხება ბიომეტრიულ პასპორტებს, ამ ეტაპისთვის 1 506 243 ბიომეტრიული პასპორტია გაცემული.

ბატონმა ზურაბმა წარმოადგინა 2020 წლის 15 ოქტომბრისა და 2021 წლის 15 სექტემბრის (ცესკო-თვის პოტენციურ ამომრჩეველთა სიის გადაცემის თარიღი) პოტენციურ ამომრჩეველთა სიის მონაცემებიც. პრეზენტაციის შესაბამისად, 2020 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით, თუ ცესკო-თვის გადაცემულ პოტენციურ ამომრჩეველთა სიაში იყო 3 558 291 პირი, 2021 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით არის 3 540 609 პირი.

პრეზენტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონ ზურაბს შეკითხვა დაუსვა მედიით გავრცელებულ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში 1921 წელს დაბადებულ აწ გარდაცვლილ ვერა კოჯიევასა და 1928 წელს დაბადებულ ლიდია ოქტომბრიშვილის საარჩევნო სიაში ყოფნას.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით სააგენტოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირის გარდაცვლილად რეგისტრაცია არის იურიდიული ფაქტი, ხოლო სააგენტო პირის გარდაცვლილად რეგისტრაციას ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება გარდაცვალება. ამ მხრივ, მთავარია, სააგენტოში შემოვიდეს ინფორმაცია (შეტყობინება, ცნობა) პირის გარდაცვალების შესახებ. თუ რაღაც მიზეზის გამო შეტყობინება არ შემოვიდა სააგენტოში, ამ შემთხვევაში შესაძლოა, გარდაცვლილი პირი იყოს პოტენციურ ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ არა იმიტომ, რომ რაღაცის გაყალბება იგეგმება, არამედ იმიტომ, რომ სააგენტომდე, უბრალოდ, არ მოსულა ინფორმაცია პირის გარდაცვალების შესახებ. ამის მიუხედავად, სააგენტო, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ძალებითაც იკვლევს შესაძლო გარდაცვალების ფაქტებს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ სხვადასხვა ტელეარხზე გავრცელებული სიუჟეტების საფუძველზე, რომლებიც შეეხებოდა საარჩევნო სიაში 14 გარდაცვლილი პირის გამოაშკარავებას, სააგენტოს მიერ მოხდა თოთხმეტივე პირის იდენტიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული 14 პირიდან 4 ცოცხალი აღმოჩნდა; ორ პირზე, რომლებიც გარდაცვლილი აღმოჩნდნენ და ამის შესახებ სააგენტომდე, უბრალოდ, ინფორმაცია არ იყო მისული, შედგა გარდაცვალების ოქმი და 15 სექტემბერს ცესკო-ს უკვე განახლებული მონაცემები მიეწოდა; 3 პირზე კი, არ დადასტურდა გარდაცვალება, რადგან ვერავინ დაადასტურა მსგავსი რამ ადგილზე მყოფთაგან. ასევე, როდესაც რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააჟღერა ინფორმაცია საარჩევნო სიაში არსებული ექვსასზე მეტი გარდაცვლილი პირის შესახებ და გამოაქვეყნა ზემოაღნიშნული 37 პირის მონაცემი, სააგენტომ უმალვე შეამოწმა ოცდაჩვიდმეტივე პირი, რომელთაგან 8 ცოცხალი აღმოჩნდა, ერთი პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია უკვე მანამდეც იყო გადაგზავნილი ცესკო-ში, 12-ზე კი შედგა

გარდაცვალების ოქმი. ბატონი ზურაბის თქმით, უწყება უმალვე ამოწმებს ნებისმიერ მსგავს ინფორმაციას და თუ რამე აღმოჩნდება გასაახლებელი, მაშინვე იგზავნება ცესკო-ში. რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიერ დასმულ კითხვას ორი გარდაცვლილი პირის შესახებ, პრეზენტატორმა განაცხადა, რომ აღნიშნული პირების შესახებ მონაცემები ინფორმაციის გავრცელების დროისთვის უკვე გადაგზავნილი იყო ცესკო-ში. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" შესაბამისად, სააგენტოს უფლება აქვს, დააჯარიმოს ის პირები, ვინც არ შეატყობინებს უწყებას ამა თუ იმ პირის გარდაცვალების შესახებ. საერთო ჯამში, დაჯარიმებულია ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილი 491-ზე მეტი პირი, რომელთაც 5 დღის ვადაში არ გამოგზავნეს ინფორმაცია გარდაცვალების შესახებ. ბატონი ზურაბის თქმით, დღემდე რჩება ინფორმაციის მოწოდების პრობლემა, განსაკუთრებით, სოფლებში, როდესაც არ ხდება გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. ამიტომ აუცილებელია, ყველა მოქალაქემ სათანადოდ მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი. დამატებით მან აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ 15 სექტემბერს ცესკო-თვის მიწოდებული სია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არის ყველაზე ზუსტი, ამომწურავი და გამჭვირვალე, თუმცა, რა თქმა უნდა, მუშაობა დახვეწის მიზნით გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება.

ბატონი გიგი ჩიხლაძე („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო") მიუბრუნდა საკითხს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ზემოთ ნახსენებ ექვსასზე მეტი გარდაცვლილი პირის თაობაზე და აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციას ზემოდასახელებული ინფორმაცია მიაწოდეს მუნიციპალიტეტებმა და გაუგებარია, მათ ასე რატომ არ იმოქმედეს სააგენტოს მიმართაც.

ბატონმა ზურაბ სანიკიძემ განაცხადა, რომ ექვსასზე მეტი გარდაცვლილი პირის შესახებ შეტყობინება სააგენტოში არავის მხრიდან არ შესულა. მისი თქმით, როგორც მანამდე აღნიშნა, სააგენტომ მხოლოდ თავისი ძალებით გადაამოწმა ზემოხსენებული ექვსასზე მეტი პირიდან 37-ის გარდაცვალების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაცია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, უნდა ითქვას, რომ მათ ვალდებულება აქვთ, აცნობონ სააგენტოს პირის გარდაცვალების შესახებ და თუ გამოვლინდა, რომ შეტყობინება უნდა შემოსულიყო და არ შემოვიდა, მაშინ იმოქმედებს შესაბამისი სანქცია.

ამ საკითხზე ისაუბრა ბატონმა გრიგოლ გაგნიძემაც („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"). მისი თქმით, აუცილებელია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და მუნიციპალიტეტებმა მიაწოდონ ინფორმაცია სააგენტოს, რათა ამომრჩეველთა პოტენციური სია იყოს მაქსიმალურად ზუსტი და ამ მხრივ პოლიტიკურ პარტიებს არ ჰქონდეთ სპეკულაციების საბაბი.

საპასუხოდ ბატონმა ზურაბმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი ისედაც მოწესრიგებულია. სამედიცინო დაწესებულებებს, მუნიციპალიტეტებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს (თუ შესაბამისი გარემოებების გამოა ჩართული საქმეში) ისედაც აქვთ სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ეს ყველაფერი მოწესრიგებულია პროგრამული ელექტრონული სისტემით, რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობს და ამ მხრივ ხარვეზი არ არსებობს. პრობლემას,

უბრალოდ, წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლოა, ზემოაღნიშნულ ორგანოებამდეც კი არ მივიდეს ინფორმაცია პირის გარდაცვალების შესახებ.

ამომრჩეველთა პოტენციურ სიაში გარდაცვლილ პირთა არსებობის თემასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ბატონმა ნუგზარ მელაძემაც („მწვანე დედამიწა"). მისი თქმით, მთავარია, სააგენტომ ითანამშრომლოს საპენსიო ფონდთან, რომლის კონტროლისა და ყურადღების ცენტრშია გარდაცვლილი პირების საკითხი.

სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, საპენსიო ფონდთან სააგენტო ისედაც თანამშრომლობს და იმ რისკფაქტორების გამოვლენა, რომელთა მიხედვითაც შესაძლო გარდაცვლილი პირების იდენტიფიცირება ხდება, მიმდინარეობს, მათ შორის, სწორედ ზემოაღნიშნული ფონდის მეშვეობით.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ჰკითხა ბატონ ზურაბს თალიკო თავაძის შესახებ გავრცელებული სიუჟეტის თაობაზე, რომელსაც იუსტიციის სახლში განუცხადეს, რომ იყო გარდაცვლილთა სიაში.

პრეზენტატორის განმარტებით, ზემოხსენებული სიუჟეტის მიზეზი გახდა „112"-დან შემოსული მცდარი შეტყობინება (ადგილი ჰქონდა სახელებისა და გვარების აღრევას). ამ ეტაპისთვის ხარვეზი უკვე გასწორებულია და ცესკო-ში 15 სექტემბერს გადაგზავნილ ამომრჩეველთა პოტენციურ სიაში ქალბატონი თალიკოს მონაცემები სრულადაა აღდგენილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პარტიის „საქართველოსთვის" წარმომადგენელ მინდია დავითაძის მიერ მოწოდებულ განცხადებას (ინფორმაცია საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის 108 ფაქტზე), ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ განცხადებაში ასახული ზოგიერთი ფაქტი უწყებათაშორისი კომისიის შექმნამდე, ანუ მაის-ივნისშია დაფიქსირებული, ხოლო რიგ საკითხებზე, კომისიამ, თავისი მანდატის გათვალისწინებით, წინა სხდომებზე უკვე იმსჯელა, რაც ასახულია შესაბამის ოქმებში. ზემომითითებულ განცხადებასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა გენერალური პროკურორის მოადგილეს.

ქალბატონმა ნათია მერებაშვილმა განცხადა, რომ განცხდებაში მოყვანილი ფაქტები ეხება როგორც ზეწოლის, ისე სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებისა და პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან წასვლის იძულებას. ქალბატონი ნათიას თქმით, საკითხები, რომლებიც პროკურატურის ქვემდებარე არ არის, გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო რამდენიმე ფაქტზე მისი უწყების კომპეტენციის ფარგლებში დაიწყო გამოძიება და ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) განაცხადა, რომ მის უწყებაშიც დაიწყო გამოძიება არაერთ ფაქტზე, მათ შორის, სამსახურიდან იძულებით გათავისუფლების საკითხებზე. მისი თქმით, უწყებათაშორისი კომისიის რამდენიმე სხდომაზეც ისაუბრეს განცხადებაში მოყვანილ შემთხვევებზე. რაც შეეხება სხვა ფაქტებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგიონებში გამოკითხულია 25-მდე პირი, რომელთაგან 18 კატეგორიულად უარყოფს პარტიის იძულებით დატოვების შემთხვევას. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოკითხვაზე დაბარებულ იქნენ ქალბატონი ნათია მეზვრიშვილი და ბატონი

კახაბერ ქემოკლიძე, მაგრამ ისინი არ გამოცხადებულან საგამოძიებო ორგანოში და ამის მიზეზად ასახელებენ წინასაარჩევნოდ გადატვირთულ და დაძაბულ გრაფიკს.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ზემოხსენებული ინფორმაცია მოწოდებულია ბატონი მინდია დავითაძის მიერ. სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მინდია დავითაძეს, რომელიც აღმოჩნდა, რომ სხდომას არ ესწრებოდა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (13-20 სექტემბრის შუალედში მედიამონიტორინგით მიღებული ინფორმაციები და, აქტუალურობიდან გამომდინარე, 21 სექტემბერს დმანისში, სოფელ განთიადში, ოპოზიციური პარტიის შეკრების დროს მომხდარი ფაქტი ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით) მან სიტყვა გადასცა ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს (შინაგან საქმეთა სამინისტრო). როგორც ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, 21 სექტემბრის ინციდენტზე 2021 წლის 21 სექტემბერს დაიწყო გამოძიება სსკ 126-ე მუხლით (ძალადობა). დაკავებულია ერთი პირი (დ.დ), რომელმაც დანით მიაყენა ჭრილობა შ.ს-ს. ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ მუხლი გადაკვალიფიცირდა 117-ე მუხლით. ამასთან, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. გამოკითხულია 15-მდე პირი.

ზემოხსენებული საკითხის მგრძნობელობიდან გამომდინარე, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა არჩევნებამდე დარჩენილ ათიოდე დღეში მსგავსი დაპირისპირებებისა და ინციდენტების ასარიდებლად კომისიას შესთავაზა კონკრეტულ რეკომენდაციაზე პოზიციების შეჯერება. რეკომენდაცია შემუშავდება საარჩევნო სუბიექტებისა და ადგილობრივი და ცენტრალური საჯარო მოსამსახურეების მიმართ, რათა ასეთი შეკრებების დროს თავიდან იყოს აცილებული ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი გოჩა ძიმისტარიშვილი ვანო ჩხარტიშვილსა და მმართველ პარტიას მოქალაქეებზე ფიზიკურ ძალადობასა და შანტაჟში ადანაშაულებს. ძიმისტარიშვილის ინფორმაციით, თავდიშვილზე განხორციელებული თავდასხმის უკან სწორედ ჩხარტიშვილის ზონდერბრიგადები დგას. მოტივი დაზარალებულისთვის უცნობია და ამბობს, რომ თავდამსხმელებმა 12 წლის წინანდელი საქმე – მიწის დავა გაუხსენეს. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი მომხდარს პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ 2021 წლის 14 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ლ.თ-ს მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტზე. გამოკითხვისას ლ.თ-მ განაცხადა, რომ მას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მისი თქმით, კონფლიქტი უკავშირდება უძრავი ქონების საკითხებს, არანაირი კავშირი არ აქვს პოლიტიკურ პროცესებთან და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (ტანია ცერცვაძის თქმით, მმართველი გუნდის ნასვამი კოორდინატორის მიერ დაკარგული ათობით პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გორში ერთ-ერთმა მოქალაქემ იპოვა. ცერცვაძეს მიაჩნია, რომ ფაქტი არჩევნების გაყალბების მცდელობას უკავშირდება. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ გაყალბებისთვის მზადების პროცესში მონაწილეობს გორის მერის მოადგილე თამაზ შიოშვილი) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ ზემოხსენებული ფაქტი არ შეიცავს სისხლის სამართლის

დანაშაულის ნიშნებს და, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. ამავე საკითხზე ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში მოკვლევის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოხელის მონაწილეობა ხსენებულ საქმეში არ დასტურდება.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს გამგებელი მმართველ პარტიას ადანაშაულებს ამომრჩევლებზე ზეწოლაში, შანტაჟსა და მოსყიდვაში) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ ინფორმაცია არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას ვერ მოახდენდა.

ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტში საკითხის მოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სიუჟეტში ნაჩვენებ ქალბატონთან არავინ მისულა მსგავსი მუქარის შემცველი ტექსტებით (მედიაში გასულ სიუჟეტში მოჭრილია ნაწილი „წელს არავინ მისულა მასთან"), ხოლო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაში ქალბატონი საუბრობს 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით.

შემდეგ ინფორმაციასთან („გირჩი – მეტი თავისუფლების" ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე კონკრეტული მოსყიდვისა და დაშინების ფაქტებზე საუბრობს. „ინფორმაცია მოგვდის, ფულს როგორ არიგებენ და, მათ შორის, ფულის სანაცვლოდ ქირაობენ პირადობებს იმ ადამიანებიდან და ოჯახებიდან, რომლებიც არ არიან დარწმუნებულები, რომ მათ დაუჭერენ მხარს") დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ, ქალბატონმა სალომე ბახსოლიანმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ ინფორმაციაზე რეაგირება მისი უწყების კომპეტენციას სცილდება, ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მსგავს საკითხზე არავის მიუმართავს.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხის თაობაზე (გორში მმართველი გუნდის მერობის კანდიდატის წარდგენის დროს პარტიული ბანერები კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების მიერ იყო გამაგრებული. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში უმძიმესი ბანერების რკინის სამაგრებს ხელით იჭერდნენ), მუნიციპალიტეტში საკითხის გადამოწმების შედეგზე დაყრდნობით, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ სიუჟეტში ნაჩვენები პირები, რომლებსაც ბანერი უჭირავთ ხელით, არ არიან არც მერიის და არც კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მომდევნო საკითხზე (ოზურგეთში, ნინო რამიშვილის ქუჩაზე, შენობების კედლებზე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ ირაკლი ღლონტის პლაკატების ჩამოხევა) ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზედამხედვლობის სამსახურის მიერ კონკრეტული სამართალდამრღვევი პირი ამ ატაპზე გამოვლენილი არ არის. პირთა იდენტიფიცირების შემთხვევაში შედგება შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი.

შემდეგი საკითხი ეხებოდა ზესტაფონში მოსახლეობისთვის „ნეტგაზეთის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პროდუქტების დარიგებასთან დაკავშირებით, რაც შეფასდა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტად. ბატონი ნიკოლოზ როსებშვილის განცხადებით, ზესტაფონის მერიასა და საქართველოს

„წითელი ჯვრის საზოგადოებას“ შორის წლების განმავლობაში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ყოველი წლის დასაწყისში ხდება თანხის გათვალისწინება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და მოწყვლადი ჯგუფებისა და კატასტროფების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის გარკვეული ტიპის დახმარებების გაწევა. ამასთან, „წითელი ჯვრის საზოგადოება“ პერმანენტულად ახორციელებს პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ ჰუმანიტარულ დახმარებას. საზოგადოებაში გაურკვევლობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ორგანიზაციის ოფისი განთავსებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. ამასთან, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

გენერალური პროკურორის მოადგილემ, ქალბატონმა ნათია მერებაშვილმა, განაცხადა, რომ ხსენებულ საკითხზე გამოძიება დაწყებულია და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აცხადებენ, რომ პარტიის კანდიდატ გივი მგელაძეს ემუქრებიან. ის კენჭს იყრის სოფლების – მუხაესტატეს, ალამბრის, ზენითისა და აჭყვისთავის – მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. გივი მგელაძის განცხადებით, მას სუს-ის თანამშრომლები შეხვდნენ და კატეგორიულად მოსთხოვეს კანდიდატურის მოხსნა, სანაცვლოდ კომფორტულ ცხოვრებას და გარკვეულ თანხას დაჰპირდნენ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბექა ზეგარდელმა, განაცხადა, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით (პარტიის „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ნათია მეზვრიშვილი ზეწოლის ახალ ფაქტებზე საუბრობს. მან პროკურატურას მიმართა ზეწოლის ფაქტის გამოძიებისთვის. მეზვრიშვილის თქმით, ხაშურის მერობის კანდიდატს დაემუქრნენ და დაშინების მიზნით მის კომპანიაში შემოსავლების სამსახური შევიდა) ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს და შედეგებს კომისიას შემდეგ სხდომაზე მოაწოდებს.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (მმართველი პარტიის მიერ ორგანიზებულ მერობის კანდიდატის წარდგენის ღონისძიებას სამუშაო დროს ესწრებოდა წალკის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ბერიანიძე. „სამართლიანი არჩევნების“ (ISFED) დამკვირვებელმა საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაარკვია, რომ პირველი საჯარო სკოლის დირექტორი არ გასულა შვებულებაში და არც ერთდღიანი შვებულება აუღია) განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა, განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ მოკვლევის შედეგად შესაბამისმა რესურსცენტრმა არ დაადასტურა ხსენებული დირექტორის შვებულებაში ყოფნა, ამასთან, თავად მარინე ბერიანიძეც არ უარყოფს როგორც ამ ღონისძიებაზე დასწრებას, ისე შვებულებაში არყოფნას და განმარტავს, რომ შეკრებაზე შემთხვევით აღმოჩნდა. ქალბატონი თამარის თქმით, ხსენებულ შემთხვევაში, სამწუხაროდ, დაფიქსირდა ადმინისტრაციული დარღვევა.

ბატონი თორნიკე ჭეიშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ კომისიაზე განხილულ საკითხზე დადასტურდება დარღვევა, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს რეკომენდაციის თაობაზე. წინა წლების პრაქტიკაც ცხადყოფს კომისიის მიერ მსგავსი

რეკომენდაციების გამოცემას და ამჯერადაც საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების საჯარო მოხელეებისთვის შემუშავდება, რათა სამუშაო საათებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს თავი შეიკავონ აგიტაციისა თუ კონტრაგიტაციისაგან.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა მომდევნო თემასთან (ზედა წინსვლის საჯარო სკოლის დირექტორმა ნატალია კეჭეხმაძემ მისი სკოლის პედაგოგებს საერთო ჩათში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატების წარდგენის ფეისბუქლაივი მიაწოდა და მხარდამჭერი კომენტარების დაწერა მოსთხოვა. დირექტორის და პედაგოგების მიმოწერის ჩანაწერიდან ნათლად ჩანს დირექტორის მითითების შინაარსი) დაკავშირებით აღნიშნა, რომ, დასახელებულმა დირექტორმა სკოლის პედაგოგებს სოციალური ქსელის საერთო მიმოწერის ჯგუფში გაუგზავნა მერის წარდგენის ღონისძიების პირდაპირი ჩართვის ვიდეო. ხელვაჩაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციის თანახმად, ზედა წინსვლის საჯარო სკოლის დირექტორი ნატალია კეჭეხმაძე პარალელურად მუშაობს ბათუმის მე-4 საჯარო სკოლაში პედაგოგად. 2021 წლის 12 აგვისტოს, როდესაც პედაგოგები შვებულებაში იმყოფებოდნენ, ქალბატონმა ნატალიამ მისი სკოლის ყოფილ მოსწავლე როლანდ ბერიძეზე (ქედის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი) ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის საერთო მიმოწერის ჯგუფში (ზედა წინსვლის საჯარო სკოლის პედაგოგები არ იყვნენ მიმოწერის მონაწილენი) დაწერა შემდეგი კომენტარი: „ჩვენი სკოლის ნამოწაფარია და ვუსურვოთ წარმატებები", რითაც გამოხატა კეთილგანწყობა ყოფილი მოსწავლის მიმართ. მითითებული სკოლის პედაგოგები რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში და ვერ მიიღებდნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში მონაწილეობას. ამასთან, ზემოაღნიშნული ჩაითვალა პედაგოგების წახალისებად აგიტაციასთან მიმართებით.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ ინფორმაციასთან („სამართლიანი არჩევნების" (ISFED) ინფორმაციით, სენაკის საჯარო სკოლის დირექტორებსა და პედაგოგებს მმართველი პარტიის ოფისებში იბარებენ და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვას აიძულებენ, მათ შორის, არაპირდაპირი ზემოქმედების გზითაც. მსგავსი მითითებები აქტიურად გაიცემა სენაკის №3 საჯარო სკოლის დირექტორ მარინე ნანეიშვილის და №2 საჯარო საჯაროს სკოლის მასწავლებელ გული ბარკალაიას მიერ. შეკრების ორგანიზებაში ჩართულია სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია. პარტიულ ოფისებში გამართულ შეხვედრებზე საჯარო სკოლის პედაგოგებს ავალებენ, ჩაერთონ მმართველი პარტიის მხარდამჭერთა სიების შეგროვებაში) დაკავშირებით ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მოკვლევის შედეგად ხსენებულ საკითხზე არ დასტურდება პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ამავე საკითხზე განაცხადა, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შეკრებაში მონაწილეობდა სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ რუსია. ბატონის ნიკოლოზის თქმით, მიმდინარე წლის აგვისტოდან ბატონი თამაზი აღარ იკავებს საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციას. იგი პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა თანამდებობიდან და აგრძელებს საკრებულოს რიგითი წევრის პოზიციას. ამასთან, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მსგავს აგიტაციაში მონაწილება აკრძალული არ არის და, შესაბამისად, ამ კუთხით დარღვევა არ დაფიქსირდა.

მომდევნო საკითხთან (თბილისის მერმა გლდანის რაიონში მცხოვრებ 36 ოჯახს სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადასცა. მათ დაუკანონდათ ის ფართები, სადაც მრავალი წელია, ცხოვრობენ) დაკავშირებით მერიის წარმომადგენელმა, ბატონმა მამუკა ჯაყელმა, განაცხადა, რომ ეს პროექტი (მოსახლეობისთვის ფართების გადაცემა) ყოველ წელს ხორციელდება თბილისის მერიის მიერ. შესაბამისად, წინასაარჩევნო პერიოდთან არანაირ კავშირში არ არის და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

შემდეგი საკითხის (პოლიტიკური ნიშნით სოციალური დახმარების მოხსნაზე საუბრობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკაში მცხოვრები ანანიძეების ოჯახი) თაობაზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ალექსანდრე ვაშალომიძემ, განაცხადა, რომ სიუჟეტში ნახსენებია არა მარტო ანანიძეების, არამედ ჩოგაძეების ოჯახიც, რომლებიც უწყვეტად იღებენ სოციალურ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან, პანდემიის დაწყების პერიოდიდან, მთავრობის დადგნილებიდან გამომდინარე, თუ ჯანდაცვის სამინისტროს კონკრეტულმა მოქალაქემ არ მიმართა განცხადებით (სოციალური დახმარების შეწყვეტის თაობაზე), მას სოციალური დახმარება ვერ შეუწყდება. შესაბამისად, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა – სტრატეგია აღმაშენებელი“ მმართველ პარტიას ძალადობაში ადანაშაულებს. პარტიაში აცხადებენ, რომ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნიკა საკანდელიძის მიმართ მმართველი გუნდის ოფისში მორალური ძალადობა განხორციელდა. ეს კი მისი კანდიდატურის მოხსნას ემსახურებოდა) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 21 სექტემბერს შს სამტრედიის რაიონულ სამმართველოში გამოიკითხა სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნ.ს., რომელსაც ახლდა ადვოკატი და განმარტა, რომ კანდიდატურა მოხსნა საკუთარი სურვილით, ყოველგვარი იძულებისა და მუქარის გარეშე, და კატეგორიულად უარყო სიუჟეტში გასული ინფორმაცია ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებით.

რამდენადაც სხდომაზე დამსწრე პირთა მხრიდან წამოიჭრა საკითხი და გამოითქვა ინტერესი ცესკო-ს საკონსულტაციო ჯგუფის გაუქმების მიზეზის თაობაზე, ცესკო-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი სანტურიანმა, განმარტა, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარე არჩევნებისთვის ხსენებული ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 12 პირით. შემდგომში 7-მა წევრმა პირადი განცხადების საფუძველზე მიმართა ცესკო-ს და საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელს. ამასთან, დადგენილი წესით წევრების არსებული რაოდენობა ჩამოსცდა მინიმალურ რაოდენობას, რის საფუძველზეც გაუქმდა საკონსულტაციო ჯგუფი.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომაში მონაწილეობისთვის.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

– „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი.

სხდომა დასრულდა 16:48 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: